ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №26

2012 წლის 2 ნოემბერი

ქ.ხობი

ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 29 აგვისტოს №726 ბრძანებულების შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთები თანახმად დანართისა.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 12 ივლისის №6 დადგენილება (გაზეთი „ახალი სამკუთხედი“ №15-16 (7025) 26.07.2010 წ. სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 01025002035106004442).
3. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2012 წლის 19 ოქტომბრიდან წარმოშობილ შრომით ურთიერთობებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე **მამუკა ჭოხონელიძე**

დანართი

ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთები

N	თანამდებობათა დასახელება	თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი(ლარი)
1.	საკრებულოს თავმჯდომარე	2650
2.	გამგებელი	2650
3.	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	1700
4.	გამგებლის მოადგილე	1300
5.	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	1350
6.	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	1350
7.	საკრებულოს აპარატის უფროსი	1000
8.	გამგეობის სამსახურის უფროსი	1000
9.	თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი - თვითმმართველი ერთეულის რწმუნებული	1000

10.	გამგეობის სამსახურის განყოფილების უფროსი	810
11.	გამგებლის თანაშემწე	790
12.	სხვა უფროსი საჯარო თანამდებობის პირი	790
13.	მთავარი სპეციალისტი	560
14.	წამყვანი სპეციალისტი	530
15.	უფროსი სპეციალისტი	500
16.	სპეციალისტი	470